ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20

2017 წლის 7 აპრილი

ქ. ზუგდიდი

„ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 იანვრის №2 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 10.01.2017, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.170.016224) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბჭო შედგება 18 წევრისაგან.“;

ბ) მე-4 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყლიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების 5 (ხუთი) წარმომადგენელი, რომელთაც განსაზღვრავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ნატალია შეროზია**